საჯარო პოლიტიკის ნარკვევი

MYPLACE: მახსოვრობა, ახალგაზრდობა, პოლიტიკური მემკვიდრეობა და სამოქალაქო ჩართულობა

MYPLACE

Web: www.fp7-myplace.eu

Blog: http://myplacefp7.wordpress.com/

Twitter: @ProjectMYPLACE

ეს არის ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო პროგრამის (FP7) MYPLACE კვლევითი პროექტის ფარგლებში მომზადებული მესამე და ბოლო საჯარო პოლიტიკის ნარკვევი. პროექტი MYPLACE ხორციელდება 14 ქვეყანაში. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ძირითად მიგნებებს და მათ შესაძლო გავლენას ევროკავშირის საჯარო პოლიტიკაზე.

მიმდინარე პროექტი დაიწყო 2011 წლის ივნისში

მარტი 2015

შესავალი

MYPLACE (www.fp7-myplace) ევროკომისიის მიერ დაფინანსებული 7.9 მილიონ ევროიანი პროექტია, რომელიც დაიწყო 2011 წლის ივნისში და 2015 წლის მაისამდე გრძელდება. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით პროექტი იკვლევს კავშირს პოლიტიკურ მემკვიდრეობასა და ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკურ ჩართულობას შორის ევროპის 14 ქვეყანაში. ასევე, ახალგაზრდების დამოკიდებულებას რადიკალური და პოპულისტური პოლიტიკური მიმდინარეობების მიმართ.

კონცეპტუალურად, პროექტი ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდების დამოკიდებულებაზე წარსულის, აწმყოსა და მომავლის მიმართ და აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობა სტრუქტურულად ეფუძნება ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს მაშინ, როდესაც თვითონ ახალგაზრდები სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების აქტიურ მოქმედ პირებს წარმოადგენენ.

ემპირიულად, MYPLACE იყენებს მასობრივი გამოკითხვის, ინტერვიუს და ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდების ერთობლიობას იმისთვის, რომ აჩვენოს ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობა ადგილობრივ, ეროვნულ და ქვეყანათაშორის დონეზე. პროექტის ფარგლებში გროვდება ახალი, პან-ევროპული

მონაცემები, რომლებიც ზომავს არა მხოლოდ ახალგაზრდების ჩართულობის დონეს, არამედ შეისწავლის იმ მნიშვნელობას, რასაც ახალგაზრდები თავის ქმედებას ანიჭებენ.

ანალიტიკური თვალსაზრისით, პროექტის ძირითადი ფოკუსია ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური ჩართულობის ისტორიული და კულტურული კონსტექტუალიზაცია. ახალგაზრდების პოლიტიკიდან „გარიყულობის“ შესახებ რუტინული და ხშირად აბსტრაქტული მოსაზრებების ნაცვლად, MYPLACE გვთავაზობს მდიდარ ემპირიულ სურათს იმისა, თუ როგორია ახალგაზრდების წარმოდგენები და დამოკიდებულება ადგილობრივი, ეროვნული და ევროპული პოლიტიკური სივრცისადმი.

პოლიტიკის შემუშავების კუთხით, MYPLACE გამოყოფს ხელისშემშლელ და ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს ახალგაზრდების მიერ ევროპული პოლიტიკური სივრცის, როგორც „თავისი“ ადგილის (my place) აღქმას. ამას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ევროპული პოლიტიკის გეგმასთან, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ახალგაზრდულ სტრატეგიასთან 2010-18.

პოლიტიკის ნარკვევის მიზანი

თუკი **პირველი პოლიტიკის ნარკვევი**, რომელიც 2013 წელს დაიწერა, ეხებოდა MYPLACE პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევას, ხოლო **მეორე პოლიტიკის ნარკვევი**, რომელიც 2014 წელს გამოქვეყნდა, წარმოადგენდა პროექტის მონაწილე ქვეყნების ორ განსხვავებულ დასახლებულ პუნქტში ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების შედარებას. **მესამე პოლიტიკის ნარკვევი** ძირითადად ეხება პროექტში ჩართულ ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგების შედარებას და მათ გავლენას ევროპის პოლიტიკურ გეგმებზე. ამ პოლიტიკის ნარკვევში წარმოდგენილია ოთხი კვლევითი კომპონენტის (work packages - WPs) შედეგები: მუზეუმებთან თანამშრომლობით ჩატარებული კვლევა ისტორიულ მეხსიერებაზე (WP2), რაოდენობრივი გამოკითხვა, რომელიც იკვლევს პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას და პოლიტიკურ ჩართულობას (WP4), იმავე საკითხებზე უფრო მცირე ჯგუფის თვისებრივი გამოკვლევა სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით (WP5), განსხვავებული ჯგუფების ეთნოგრაფიული კვლევა, რომელიც ასახავს ახალგაზრდების სოციალურ და პოლიტიკურ ჩართულობას (WP7).

პროექტში ჩართული ქვეყნების კვლევითი გუნდები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ახალგაზრდული პოლიტიკის მრჩეველთა ჯგუფებთან (Youth Policy Advisory Groups - YPAGs), რომლებიც ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ახალგაზრდების საკითხებზე მუშაობენ. ახალგაზრდული პოლიტიკის მრჩეველთა ჯგუფები პროექტის მკვლევარებს ასევე ეხმარებოდნენ მიღებული შედეგების ახსნასა და გავრცელებაში. ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ეფუძნება კვლევის ძირითადი მიგნებებისა და პოლიტიკაზე მათი გავლენის შესახებ დისკუსიას, რომელიც 2014 წლის 20 ნოემბერს გაიმართა ბრიუსელში ევროპის პოლიტიკურ ფორუმზე პოლიტიკის მრჩეველთა ჯგუფებთან და „ევროპულ YPAG“-თან თანამშრომლობის შედეგად.

რადგანაც ამ ნაშრომში MYPLACE პროექტის მასშტაბური კვლევის შედეგების მხოლოდ მცირე ნაწილის წარმოდგენაა შესაძლებელი, დაწვრილებითი კვლევითი ანგარიშები იხილეთ პროექტის ვებ-გვერდზე: http://www.fp7-myplace.eu/deliverables.php

მონაცემები და ანალიზი

ახალგაზრდები ევროპაში და „მეხსიერების პოლიტიკა“

ისტორიულ მეხსიერებაზე მუზეუმებთან თანამშრომლობით ჩატარებულ კვლევაში ოჯახი გამოვლინდა, როგორც მნემონიკური სოციალიზაციის მნიშვნელოვანი გარემო. კვლევის ყველაზე საყურადღებო მიგნება ისაა, რომ ხშირად (თუმცა, არა ყოველთვის) ახალგაზრდები ოჯახის წევრების მონათხრობს მეტად ენდობიან, ვიდრე ოფიციალური და კულტურული წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას. კვლევა აჩვენებს, რომ „მძიმე წარსულის“ ისტორიულ ნარატივებს დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებაზე და მათ ქმედებებზე. თუმცა, ეს ასევე დამოკიდებულია ეროვნული და ადგილობრივი ისტორიული გამოცდილების თავისებურებებზე.

მუზეუმებთან და ისტორიული ძეგლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ პროექტის მონაწილე თოთხმეტივე ქვეყანაში „მძიმე წარსულის“ ფართო საზოგადოებისთვის წარდგენის გამოკვეთილი პოლიტიკური გეგმა არსებობს, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

- **ჯგუფი 1**. სოციალისტური წარსულის მქონე ქვეყნები ხშირად სახელმწიფოს ქმედებებით ცდილობენ „პრობლემური“ კომუნისტური და ნაცისტური წარსულის მოგონებების შენარჩუნებას იმისთვის, რომ თანამედროვეობაში უფრო „დემოკრატიული“ და ახლებური ეროვნული იდენტობის აღქმა გაამლიერონ. ზოგჯერ თვალსაჩინოა ნაცისტურ ძალებთან ქვეყნების თანამშრომლობის არაღიარება (სლოვაკეთში, უნგრეთში, ხორვატიაში, ლატვიაში, ესტონეთში, საქართველოსა და რუსეთში).
- **ჯგუფი 2.** სხვა დასახლებულ პუნქტებში დიქტატურის (სამხრეთ ევროპაში) ან დეინდუსტრიალიზაციის მძიმე წარსულის, ასევე ტეტჩერის ხანის პოლიტიკის (დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში) ინტერპრეტაციას „მემარცხენე“ არგუმენტებით ან გამოკვეთილად კრიტიკულად ცდილობენ (საბერძნეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში).
- **ჯგუფი 3.** ოფიციალური ისტორიული ძეგლები გერმანიის ორივე, ყოფილ დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ნაცისტური საკონცენტრაციო და იძულებითი შრომის ბანაკების მსხვერპლთა ხსოვნას ემსახურება და სკოლის მოსწავლეებთან მძაფრად მორალისტურ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. თუმცა, ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში სოციალისტური წარსული მარგინალიზებულია.
- **ჯგუფი 4.** პროექტის მონაწილე სკანდინავიის ორივე ქვეყანაში (ფინეთსა და დანიაში) ომის კოლექტიური მეხსიერება მიმართულია იმისკენ, რომ განსაზღვროს ეროვნული იდენტობის თანამედროვე ცნება, 1864 წელს დანიის მიერ ტერიტორიის დაკარგვა გერმანიის სასარგებლოდ და ფინეთის მიერ ტერიტორიის დაცვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1939-40 წლებში. ისევე, როგორც ჯგუფი 1-ის ზოგ ქვეყანაში, შეინიშნება ნაცისტებთან თანამშრომლობაზე „დუმილის“ ტენდენცია.

ახალგაზრდებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებისა და თაობათაშორისი ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა ტენდენცია, რომ ახალგაზრდები ან დაინტერესებულნი არ არიან, ან არ ენდობიან წარსულის სკოლებისა და ბევრი ისტორიული ძეგლის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ ვერსიებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები ინფორმაციის ნაწილს კულტურული წყაროებიდან იღებენ, გამოჩნდა, რომ ისინი უფრო დიდ მნიშვნელობას მშობლებისა და ბებია-ბაბუების მონათხრობს ანიჭებენ. როგორც ერთმა ესპანელმა ახალგაზრდამ თქვა:

> *მათი მოსმენა ჯობია ინტერნეტში ძებნას, რადგანაც შეიძლება ეს [ინტერნეტში] მართალი არ იყოს... შენი ბებია-ბაბუის გამოცდილება უკეთესია.*

პოლიტიკურად აქტიურმა ახალგაზრდამ აღმოსავლეთ გერმანიიდან განაცხადა:

> *აშკარად მშობლებმა მოახდინეს გავლენა... ჩვენ უფრო თავდაჯერებული და მეამბოხე გავხდით.*

ამასთან, ახალგაზრდები პასიურად კი არ იზიარებენ მშობლებისა და ბებია-ბაბუების შეხედულებებს, არამედ თავადაც აქვთ მსგავსი მოსაზრებები. მეორეს მხრივ, მშობლების მოსაზრებებს ახალგაზრდები ყოველთვის კრიტიკის გარეშე არ იღებენ. ერთი ხორვატი ახალგაზრდა ეჭვის ქვეშ აყენებდა მშობლების მტრულ დამოკიდებულებას სერბების მიმართ, რაც წარსულის სისასტიკეებს უკავშირდება.

> *კარგი, დედა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს სერბები ჩემს მიმართ ასე მოიქცევიან. მე სერბი მეგობრები მყავს.*

ახალგაზრდები ისტორიით უმეტესად იმ შემთხვევაში არიან დაინტერესებული, როცა ეს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება. როგორც მემარცხენე, ისევე მემარჯვენე შეხედულებების შემთხვევაში ისინი ისტორიას ახსენებენ თანამედროვე ქსენოფობიური ან ანტირასისტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბების პროცესში. ხშირად ამას უკავშირებდნენ წარსულის ნოსტალგიის გავრცელებულ განცდას ბევრ ქვეყანაში, სადაც დაუცველობასა და ეკონომიური ცხოვრების „დეპრესიულ აწმყოსთან“ ასოცირებული სოციალურ-ეკონომიკური სირთულეები და მომავლის არქონა უპირისპირდებოდა წარსულში კეთილდღეობისა და უსაფრთხოების „ოქროს ხანას“. ერთმა უნგრელმა ახალგაზრდამ ეს ასე ჩამოაყალიბა:

> *ახალგაზრდად ყოფნა მაშინ უკეთესი იყო. მაშინ ახალგაზრდობას კარგ ბანაკებში შეეძლო წასვლა, მაგალითად, ბალატონის ტბაზე. ახლა წასასვლელი არსად აქვთ [...] ყოველ შემთხვევაში მაშინ მკაცრად განსაზღვრული წესები იყო: 8 საათი მუშაობა, 8 საათი დასვენება. ყველაფერი აწყობილი იყო. ახლა ყველას დამატებით უწევს მუშაობა სამსახურში.*

ამრიგად, არსებობს კავშირი ამ „კრიტიკულ“ ისტორიულ ნარატივებსა და უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებს შორის, რამაც მოიცვა როგორც ევროზონა, ასევე პოსტ-სოციალისტური საზოგადოებები. როგორც ჩანს, აწმყოს შეფასება და ახალგაზრდებისთვის მომავლის შექმნა პოლიტიკის უპირატეს ამოცანას წარმოადგენს. ამ საკითხს მოგვიანებით მივუბრუნდებით. თუმცა, ისტორიის შესახებ წარმოდგენების შესწავლაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინ, როცა სკოლები და მუზეუმები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ახალგაზრდებისთვის ხმის მიწვდენას, ზოგ შემთხვევაში ერთი „ავტორიტეტული“ ვერსიის მხარდაჭერის ნაცვლად, ისინი დისკუსიისა და დებატების წახალისებას ცდილობდნენ. მაგალითად, გერმანიაში დაფიქსირდა ცვლილება წარსულზე ორიენტირებული „ხსოვნის ვალდებულებიდან“ უფრო მომავალზე ორიენტირებულ მიდგომამდე - „ეს აღარ უნდა განმეორდეს“, რაც უფრო ეხმიანება ახალგაზრდების განწყობას.

ისტორიისა და მეხსიერების მნიშვნელობა რაოდენობრივ გამოკითხვაშიც დადასტურდა და თვისებრივ ინტერვიუებშიც. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობისთვის წარსულის ხსოვნა მნიშვნელოვანია. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი საქართველოს ორივე დასახლებულ პუნქტში იყო, ყველაზე დაბალი კი რუსებით დასახლებულ დაუგავპილსში, ლატვიაში. ბევრმა ახალგაზრდამ დააფიქსირა, რომ ორივე მსოფლიო ომმა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათი ქვეყნის ისტორიაზე. ევროკავშირის წევრ ქვეყნების შემთხვევაში, ევროკავშირში გაწევრიანებას თითქმის იგივე მნიშვნელობა მიანიჭეს, რაც მეორე მსოფლიო ომს.



დიაგრამა 1. ოთხი მოვლენის მნიშვნელობა [ქვეყნის] ისტორიაზე (მათი %, ვინც ამბობს, რომ ეს მოვლენა მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია)

მოულოდნელი არ არის, რომ გერმანიის ორივე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში აქცენტი მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელობაზე ძალიან მაღალია (90%-ზე მეტი) მაშინ, როცა საგრძნობლად დაბალია, 70%-ზე ნაკლები, პორტუგალიაში, რომელიც ამ ომში აქტიურად არ მონაწილეობდა. ასევე გასაკვირი არ არის, რომ ბერლინის კედლის დაცემა და სოციალისტური რეჟიმის დასასრული ყველაზე მნიშვნელოვნად იმ ქვეყნებში დასახელდა, რომლებსაც ეს მოვლენა პირდაპირ შეეხო - ყოფილ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში ამას მნიშვნელოვნად 99% და 98% თვლიდა, ხოლო რუსეთში - 93%. სამხრეთ ევროპის ქვეყნების (ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი) დასახლებულ პუნქტებში ამ მოვლენას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭეს, 50%-ზე ნაკლები.

ახალგაზრდების დაინტერესება პოლიტიკით და მათი მონაწილეობა ფორმალურ პოლიტიკაში

მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოითქვა ფორმალური პოლიტიკიდან ახალგაზრდების „გარიყულობის“ დონისა და ევროპულ დემოკრატიაზე მისი შესაძლო გავლენის შესახებ. გამოკითხვამ გამოავლინა, რომ უფრო მეტი ახალგაზრდა აცხადებს, რომ დაინტერესებული არ არის პოლიტიკით (58%), ვიდრე იმას, რომ დაინტერესებულია (42%). თუმცა, ქვეყნებსა და დასახლებულ პუნქტებს შორის განსხვავებები გამოიკვეთა. აღმოსავლეთ გერმანიის, საბერძნეთისა და ესპანეთის დასახლებულ პუნქტებში ახალგაზრდები უფრო მეტად არიან დაინტერესებული პოლიტიკით მაშინ, როცა განსაკუთრებით დაბალი ინტერესი დაფიქსირდა ხორვატიის, ლატვიის, ფინეთისა და

ესპანეთის დასახლებულ პუნქტებში. ყველაზე მაღალი ინტერესი გამოვლინდა იმ საკითხების მიმართ, რომლებიც მათ ქვეყანას (79%) და მათ ქალაქს (75%) ეხება, ხოლო ყველაზე დაბალი ინტერესი - საკითხების მიმართ, რომლებიც მათი ქვეყნის მეზობელ ქვეყნებს ეხება (49%).



დიაგრამა 2. რამდენად დაინტერესებული ხართ საკითხებით, რომლებიც ეხება... (მათი %, ვინც ძალიან ან საკმაოდ დაინტერესებულია)

რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, ახალგაზრდები განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან იმ სფეროებით, რაც ახალგაზრდების ცხოვრებასთან პირდაპირ კავშირშია. დასაქმება, საბინაო საკითხები და გარემო ახალგაზრდებისთვის ყველაზე მაღალი ინტერესის სფეროებია, ხოლო ევროკავშირი, იმიგრაცია და სექსუალურ უმცირესობათა უფლებები - ყველაზე დაბალი. ტელევიზია და ინტერნეტი ინფორმაციის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, რასაც ახალგაზრდები იყენებენ პოლიტიკისა და საზოგადოებრივ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად. ინტერნეტი მონაწილეობის ფორმადაც კი შეიძლება, ჩაითვალოს:

> *ვცდილობ, აქტიურად ვიყო ჩართული პოლიტიკაში. ყოველ შემთხვევაში, გავაზიარო ჩემი შეფასებები Facebook გვერდზე, რადგანაც ვფიქრობ, რომ ეს ყველა ჩვენგანს გვეხება და რომ ეს ჩვენი ცხოვრებაა და არა სხვისი.*

პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა

ზოგადად, პოლიტიკოსების მიმართ ნდობა 0-დან 10-მდე სკალაზე (სადაც 0 ნიშნავს არანაირ ნდობას და 10 ნიშნავს მაქსიმალურ ნდობას) სკალის საშუალოზე დაბალი იყო:

პრემიერმინისტრი	4.3
პარლამენტი	4.5
პოლიტიკური პარტიები	3.8

თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავებები იყო ქვეყნებსა და ქვეყნის შიგნით შერჩეულ დასახლებულ პუნქტებს შორის. ახალგაზრდები საბერძნეთში, ხორვატიაში, ესპანეთსა

და უნგრეთში ყველაზე ნაკლებ ნდობას გამოხატავდნენ პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, ხოლო ახალგაზრდები დანიაში, ფინეთში, გერმანიის ორივე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში და საქართველოში - ყველაზე მეტ ნდობას, დაახლოებით სკალის შუა წერტილამდე. ეს კი, სხვა ინდიკატორებთან ერთად, ჩრდილო და სამხრეთ ევროპულ დაყოფაზე მიუთითებს.



დიაგრამა 3. ნდობა ძირითადი პოლიტიკური ინსტიტუტების (მთავრობის ხელმძღვანელი პრემიერმინისტრის, პარლამენტისა და პოლიტიკური პარტიების) მიმართ დასახლებული პუნქტის მიხედვით 0-დან (არანაირი ნდობა) 30-მდე (სრული ნდობა) სკალაზე.

ფართოდ გავრცელებული მიგნება თოთხმეტივე ქვეყნის დასახლებულ პუნქტებში იყო ახალგაზრდებში პოლიტიკოსების საკმაოდ უარყოფითი იმიჯი: მხოლოდ 20 პროცენტს სჯეროდა, რომ პოლიტიკოსები დაინტერესებულნი არიან ახალგაზრდებით, 60 პროცენტი თვლიდა, რომ პოლიტიკოსები კორუმპირებულნი იყვნენ და 69 პროცენტი დარწმუნებული იყო, რომ მდიდრებს ძალიან დიდი გავლენა ჰქონდათ პოლიტიკოსებზე.

პოლიტიკოსი იმას მახსენებს, რაც დღეს გვაქვს. ჩვეულებრივ, მიჩნდება ფიქრები გაყალბებაზე, ქრთამზე, კორუფციაზე. ამ ყველაფერზე მაფიქრებს.

ესაა, კი, კი, ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებთ, ქვეყნისთვის და ყველაფერი, მაგრამ არაფერს აკეთებენ.

მაგრამ ჩვენი მთავრობა არ გვისმენს, ხვდებით, ხო? [...] ამჟამად რაც ადარდებთ, ესაა საგადასახადო შესვენებების მიცემა მდიდრებისთვის და ღარიბი ხალხისთვის კისერში ხელის წაჭერა.

არჩევნებში ხმის მიცემა

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის კლების ტენდენცია გამოვლინდა, გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ 14 ქვეყნის შერჩეულ დასახლებულ პუნქტებში არჩევნებში ხმის მიცემა ახალგაზრდებს შორის პოლიტიკური მონაწილეობის ყველაზე პოპულარული ფორმაა. როგორც დიაგრამა 4 აჩვენებს, გამოკითხულთა 70.3 პროცენტმა მისცა ხმა არჩევნებში. თუმცა, ქვეყნებსა და დასახლებულ პუნქტებს შორის საკმაოდ დიდი ვარიაცია იყო. მაგალითად, ახალგაზრდები ჩრდილოეთ ევროპის დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით ფინეთში, დანიასა და გერმანიაში (სადაც პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობაც მეტია), ასევე ვიკში, ესპანეთში, ახალგაზრდების მიერ არჩევნებში ხმის მიცემის დონე 80 პროცენტს აჭარბებს. არჩევნებში მონაწილეობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (43%) ნენიტენში, დიდ ბრიტანეთში, დაფიქსირდა, სადაც მოსახლეობა ძირითადად თეთრკანიან მუშათა კლასს მიეკუთვნება და რომელზეც ძალიან იმოქმედა დეინდუსტრიალიზაციამ და უმუშევრობამ. ამრიგად, არჩევნებში ხმის მიცემის მიდრეკილებაზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური სტრუქტურის ფაქტორები, როგორებიცაა: სოციალური კლასი, სქესი, რელიგია და ეთნიკური წარმომავლობა:



დიაგრამა 4. არჩევნებში ახალგაზრდების მიერ ხმის მიცემისა და არმიცემის პროცენტული განაწილება და მიზეზები

- რაც უფრო მაღალია განათლებისა და სოციალური კლასის საფეხური, მით უფრო მეტია არჩევნებში ხმის მიცემის მაჩვენებლები

- ახალგაზრდებში უმუშევრობა ამცირებს არჩევნებში ხმის მიცემის ალბათობას
- მამაკაცები უფრო მეტად იღებენ მონაწილეობას ეროვნულ არჩევნებში, ვიდრე ქალები; თუმცა, ეს განსხვავება ნაკლებად შესამჩნევია ადგილობრივ არჩევნებში
- რელიგიური იდენტობის მაღალი დონე დაკავშირებულია ხმის მიცემის მეტ ალბათობასთან
- ასაკით უფროსი ახალგაზრდები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი არჩევნებში ხმის მისაცემად

პოლიტიკაში მონაწილეობის სხვა ფორმებთან შედარებით, ხმის მიცემა ყველაზე ეფექტურ ფორმად დასახელდა (0 - საერთოდ არაეფექტური და 10 - ძალიან ეფექტური):

ხმის მიცემა არჩევნებში	6.9
მედიაში გამოჩენით პოპულარობის მოხვეჭა	5.9
არალეგალურ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა	3.5
ძალადობრივ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა	2.9

თუმცა, იმ ახალგაზრდებსაც კი, ვინც ხმა მისცა არჩევნებში, აუცილებლად არ სჯერა მისი ეფექტიანობის:

> *რომელი გზაც არ უნდა აირჩიო, ცუდ დღეში აღმოჩნდები. ესაა ჩემი პირადი მოსაზრება [...] მე ვმონაწილეობ არჩევნებში [...] ხალხი ამბობს, თუ არ მისცემ ხმას არჩევნებში, არც უკმაყოფილების და წუწუნის უფლება გაქვს შემდგომ*

დემონსტრაციებში მონაწილეთა შემთხვევაში ესეც შეიძლება, მართალი იყოს:

> *ჩემი შთაბეჭდილებით ის არასდროსაა ძალიან წარმატებული. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჯობია, დემონსტრაცია მოაწყო, ვიდრე არაფერი გააკეთო*

მათ შემთხვევაში, ვინც არჩევნებში ხმა არ მისცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი საერთოდ არ არიან ჩართული პოლიტიკაში, უბრალოდ ასეთი არჩევანის გაკეთების მიზეზი ჰქონდათ:

> *არ ვმონაწილეობ არჩევნებში. ახლახან შევწყვიტე. უფრო იმიტომ, რომ ვფიქრობ, ჩემი ხმა არაფერს შეცვლის*

ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივიზმი და მათი მონაწილეობა სოციალურ მოძრაობებსა თუ სამოქალაქო აქტივობებში

ორგანიზაციული ჩართულობის საერთო საზომზე, 11 ორგანიზაციის გათვალისწინებით, 0-დან 10-მდე სკალაზე ჩართულობის ყველაზე დაბალი დონიდან ჩართულობის ყველაზე მაღალ დონემდე, საერთო საშუალო ჩართულობად 0.3 გამოვლინდა. ახალგაზრდებში სამოქალაქო და პოლიტიკური ორგანიზაციების წევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩრდილოეთ ევროპის დასახლებულ პუნქტებში, ფინეთსა და დანიაში, დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში (საბერძნეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში) და პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებებში (უნგრეთში, სლოვაკეთში, საქართველოსა და ლატვიაში).

ორგანიზაციების წევრობის გარდა, ქვეყნებსა და დასახლებულ პუნქტებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავება იყო ახალგაზრდების სოციალურ-პოლიტიკურ ჩართულობაში, რაც ოცი სხვადასხვა პოლიტიკური აქტივობით იზომებოდა. მაგალითად, უნგრეთის ორივე შერჩეულ დასახლებულ პუნქტში ახალგაზრდების ჩართულობა დაახლოებით 25-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე აღმოსავლეთ გერმანიისა და ესპანეთის ზოგ დასახლებულ პუნქტში. ჩართულობის დაბალი

მაჩვენებელი გამოვლინდა სამოქალაქო და პოლიტიკურ ორგანიზაციებში (11 ორგანიზაცია), როგორებიცაა: პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები, მშვიდობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები და ანტი-გლობალიზაციის მოძრაობები. საპროტესტო აქტივიზმის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კრიზისით დამძიმებული ქვეყნების დასახლებულ პუნქტებში გამოვლინდა. მაშინ, როცა (როგორც ზემოთ ვნახეთ) სოციალური კლასი და განათლების დონე არჩევნებში ხმის მიცემისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, ისინი არ მოქმედებს საპროტესტო აქტივობებში ჩართულობაზე.

ზოგადად, პოლიტიკური ჩართულობა, მათ შორის რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ახლოს დგომა, უფრო მაღალია ისეთ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ეროვნული პოლიტიკური სისტემა პროპორციულ წარმომადგენლობაზეა დაფუძნებული და სახელმწიფო მეტად ინტერვენციულია, კერძოდ, უფრო ჩრდილოეთ ევროპის დასახლებებში და ნაკლებად სამხრეთ ევროპის დასახლებებში, დიდ ბრიტანეთში ან პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებებში.

მიდრეკილება ქსენოფობიისა და უკიდურესი მემარჯვენე პოლიტიკისკენ და ზოგადი კმაყოფილება დემოკრატიით

მთლიანობაში, MYPLACE-ის რესპონდენტებს შერეული დამოკიდებულება ჰქონდათ იმიგრანტების მიმართ და ნაკლებად სჯეროდათ, რომ უმცირესობათა ეთნიკური ჯგუფის წევრებს საზოგადოებისთვის დადებითი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოებაში, როგორც ეს მე-5 დიაგრამაზეა ნაჩვენები.

თუმცა, დამოკიდებულება მიგრანტებისა და უმცირესობათა ჯგუფების მიმართ განსხვავდება ქვეყნებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით:

- პოსტ-საბჭოთა ლატვიასა და ესტონეთში საკმაოდ მრავალრიცხოვანი რუსული უმცირესობის მიმართ დამოკიდებულება უმეტესად დადებითი იყო
- ჩრდილოეთ ევროპის დასახლებებში უმცირესობათა ჯგუფების მიმართ კეთილგანწყობა გამოვლინდა, ყველაზე მეტად გერმანიის ორივე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში
- უმცირესობათა მიმართ უარყოფით დამოკიდებულებებს ახალგაზრდები ყველაზე მეტად პოსტ-სოციალისტურ დასახლებებში, ასევე საბერძნეთში და ნაწილობრივ პორტუგალიაშიც აფიქსირებენ; ასევე უფრო მეტად უჭერენ მხარს მიგრანტების გარიყვის პოლიტიკას
- საბერძნეთში ყველაზე ნაკლებად ენდობიან ალბანეთის უმცირესობათა ჯგუფს

სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფის მიმართ დამოკიდებულება განსხვავდება:

- ბევრ დასახლებულ პუნქტში (მაგ.: დანიაში, ფინეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში, რუსეთსა და სლოვაკეთში) ბოშებია ის ეთნიკური ჯგუფი, რომლის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების მეტი მიდრეკილებაც გამოვლინდა
- უნგრეთის, რუსეთისა და საქართველოს დასახლებულ პუნქტებში ახალგაზრდები უფრო მეტად უჭერენ მხარს მიგრანტებისთვის რიგ სახელმწიფო რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას
- ბევრ დასახლებულ პუნქტში (განსაკუთრებით ფინეთში, გერმანიაში, რუსეთსა და დიდ ბრიტანეთში) განათლების დაბალი დონის მქონე და მუშათა კლასის წარმომადგენლები უფრო მეტად გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას უმცირესობათა ჯგუფებისა და მიგრანტებისადმი

- თუმცა, სლოვაკეთის დასახლებულ პუნქტებში ნაკლებად განათლებულ ახალგაზრდებს უფრო დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფებიდან ბოშების მიმართ უფრო დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ
- მამაკაცები უფრო მეტად ამჟღავნებენ მტრულ დამოკიდებულებას უმცირესობათა ჯგუფებისა და მიგრანტების მიმართ



დიაგრამა 5. თანხმობა მოსაზრებებზე იმიგრაციისა და უმცირესობების შესახებ (მათი %, ვინც ეთანხმება და სრულად ეთანხმება მოსაზრებებს)

კმაყოფილება დემოკრატიის დონით

დემოკრატიის მხარდაჭერის საშუალო მაჩვენებელი 0-დან 10-მდე სკალაზე იყო 5.01, თუმცა, ქვემოთ მოცემული დიაგრამა 6 აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქვეყნებსა და დასახლებულ პუნქტებს შორის.

- დემოკრატიის მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სკანდინავიისა და გერმანიის დასახლებულ პუნქტებში დაფიქსირდა, პირველ ადგილზე ამ მხრივ ცენტრალური ოდენსე (დანია) დგას - 7.43
- მხარდაჭერა შედარებით ნაკლები იყო დიდ ბრიტანეთსა და პოსტ-სოციალისტური ქვეყნების დასახლებულ პუნქტებში
- ყველაზე დაბალი მაჩვენებლები რუსეთსა და სამხრეთ ევროპაში გამოვლინდა, საბერძნეთის ნეა-ფილადელფია ყველაზე დაბალი 3.34 მაჩვენებლით

პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალადობის გამოყენების მიმართ მხარდაჭერა 0-დან (არასოდეს) 32-მდე (ყოველთვის) სკალაზე ძირითადად დაბალი იყო:

- ყველაზე მაღალი მხარდაჭერა სლოვაკეთის რიმავსკა სობოტაში დაფიქსირდა (14.36), ხორვატიის პოდლიემეში (13.31) და რუსეთის ორივე დასახლებულ პუნქტში (ორივეგან 13-ზე მეტი)

- მხარდაჭერის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დანიაში გამოვლინდა (6-ზე ნაკლები), ფინეთის კუოპიოში (5.67) და ლატვიის ორივე დასახლებულ პუნქტში (4.62)
- ქალები უფრო ხშირად იყვნენ ძალადობის მოწინააღმდეგე, ვიდრე მამაკაცები.



დიაგრამა 6. დემოკრატიით კმაყოფილება დასახლებული პუნქტის მიხედვით 0-დან (ძალიან უკმაყოფილო) 10-მდე (ძალიან კმაყოფილი) სკალაზე

ახალგაზრდები და ევროპული პროექტი

ახალგაზრდა რესპონდენტების ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ ძალიან ან საკმაოდ აინტერესებს საკითხები, რომლებიც ევროპას ეხება:

	საშუალო %	ყველაზე მაღალი % (ლუმიარი, პორტუგალია)	ყველაზე დაბალი % (ტრნავა, სლოვაკეთი)
ძალიან მაინტერესებს	16	32	6
საკმაოდ მაინტერესებს	42	51	29
ნაკლებად მაინტერესებს	33	14	51
საერთოდ არ მაინტერესებს	9	2	14

ბევრ შემთხვევაში გამოკითხვამ ქვეყნების ორივე დასახლებულ პუნქტში მსგავსი შედეგები აჩვენა. პორტუგალიისა და გერმანიის ორივე დასახლებული პუნქტი მაჩვენებლების პირველ, ყველაზე მაღალ მესამედშია ევროპის საკითხების მიმართ ინტერესის მიხედვით, ხოლო სლოვაკეთის, რუსეთისა და ხორვატიის ორივე დასახლებული პუნქტი მაჩვენებლების ბოლო მესამედში. ზოგი ქვეყნის შემთხვევაში დასახლებულ პუნქტებს შორის კონტრასტიც დაფიქსირდა ჩართულობის მოდელის ან პოლიტიკის მიმართ ინტერესის მიხედვით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სადაც ქოვენთრი პირველ მესამედში მოხვდა, ნენიტენი კი ბოლო მესამედში.

საერთო ჯამში, ევროკომისიის მიმართ ნდობა ოდნავ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეროვნული პარლამენტების მიმართ ნდობა - საერთო საშუალო მაჩვენებელი 5.17, 0-დან (საერთოდ არ ვენდობი) 10-მდე (სრულად ვენდობი) სკალაზე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს თელავში დაფიქსირდა (6.60). ისეთი ქვეყნების ორივე დასახლებულ პუნქტი, როგორიცაა საქართველო, დანია და აღმოსავლეთ გერმანია მაღალი ნდობის პირველ სამეულში მოხვდა, ხოლო საბერძნეთის, ხორვატიისა და უნგრეთის დასახლებული პუნქტები ნდობის მიხედვით ბოლო სამეულში.

საერთო ჯამში, კვლევის მონაწილე ახალგაზრდები ზომიერად უჭერდნენ მხარს შეხედულებას, რომ „ევროკავშირის წევრობას დიდი სარგებელი მოაქვს მათი ქვეყნისთვის“: რესპონდენტების 49% ამ მოსაზრებას უბრალოდ ან სრულად დაეთანხმა, ხოლო 20% - უბრალოდ ან სრულად არ დაეთანხმა. სლოვაკეთის რიმავსკა სობოტაში გამოვლინდა ყველაზე ნაკლები წილი რესპონდენტებისა, ვინც დაეთანხმა ან სრულად დაეთანხმა ამ მოსაზრებას. ამავე დასახლებულ პუნქტში იყო გადაუწყვეტელ რესპონდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა. მეორეს მხრივ, საბერძნეთის ნეა-ფილადელფიაში გამოვლინდა ყველაზე მეტი წილი რესპონდენტებისა (39%), ვინც უბრალოდ ან სრულად არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ევროკავშირის წევრობას დიდი სარგებელი მოაქვს მათი ქვეყნისთვის.

ახალგაზრდები და პოლიტიკური აქტივიზმი: შემთხვევათა ეთნოგრაფიული კვლევა

პროექტ MYPLACE-ის ეთნოგრაფიული კვლევა უნიკალურ მონაცემთა ბაზას წარმოადგენს, სადაც 44 შემთხვევის ანალიზია სოციალურ მოძრაობებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობაზე. შედეგები შიგნიდან დანახულ ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენს პოლიტიკის შემქმნელებისთვის იმაზე, თუ რა მოტივაცია და გამოცდილება აქვთ სოციალური და პოლიტიკური მოძრაობებისა თუ ორგანიზაციების მონაწილე ახალგაზრდებს.

მოძრაობათა ერთი ჯგუფი **რადიკალური მემარჯვენე და პატრიოტული მოძრაობებისგან** შედგებოდა. აქ ორგანიზაციათა მრავალფეროვანი სპექტრი იყო წარმოდგენილი: დიდ ბრიტანეთში ინგლისის დაცვის ლიგიდან (EDL), საარჩევნო პოლიტიკის გზიდან გადახვეული ქუჩის ორგანიზაციიდან დაწყებული, საბერძნეთის ოქროს აისის პარტიით დამთავრებული, რომელიც ცდილობდა ქუჩის აქციების გაერთიანებას საპარლამენტო ძალაუფლების მოპოვების მცდელობასთან და კვლევაში მონაწილე ყველაზე უკიდურეს მემარჯვენე ორგანიზაციას წარმოადგენდა. ამ ჯგუფშივე იყო ორგანიზაცია „რუსული რბენა“, მკვეთრად ნაციონალისტური მოძრაობა სპორტისა და სიფხიზლის მოწოდებით, რომელიც 2011 წელს ჩამოყალიბდა. დაკვირვების ქვეშ მყოფი მოძრაობების დიდი ნაწილი (ოქროს აისის გამოკლებით) ცდილობდა, უკიდურესი მემარჯვენეობის კლასიკურ გაგებასთან დისტანცირება მოეხდინა. ასეთი მოძრაობები ჩვეულებრივ ღიაობითა და გაწევრიანების მიმართ სოლიდარობით გამოირჩეოდნენ, თუმცა, შიდა კამათის ტენდენციასაც ამჟღავნებდნენ. ყველაზე ხშირად ფიგურირებდა წუხილი იმიგრაციის საკითხებზე ისევე, როგორც ისტორიული მეხსიერებისა და წარსულის ხსოვნის პატივისცემა. პატრიოტიზმი ორგანიზაციების ფართო სპექტრისთვის

ყველაზე ხშირად დაფასებული და აღიარებული ღირებულება იყო და ‘კუთვნილების’ ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

მეორე ჯგუფი **ანტი-კაპიტალისტურ, ანტი-რასისტულ და ანტი-ფაშისტურ მოძრაობებს** აერთიანებდა. აქაც სხვადასხვა ტიპის მოძრაობები იყო წარმოდგენილი. ბევრი ქვედა, ხალხის დონეზე მობილიზაციაზე აკეთებდა აქცენტს, ფორმალური პოლიტიკით იმედგაცრუებას გამოხატავდა და ხაზს უსვამდა ღიაობას, სოლიდარობას, არაფორმალურ მოქმედებას და მარგინალიზებული შეხედულებების შერბილებულად გამოხატვას. ამ ჯგუფშია კულტურული მოძრაობები, როგორებიცაა ანტი-ფაშისტური „პანკ აქტივიზმი“ (Antifa Punk) ხორვატიაში, „ინტერნეტ თავისუფლების“ ორგანიზაცია „ესტონური პირატული პარტია“, ხორვატიული მოძრაობა „უფასო განათლებისთვის“, ანუ საჯაროდ დაფინანსებული განათლებისთვის საბაკალავრო და უფრო მაღალი განათლების ხარისხის დონეებზე და „ფეხბურთის გულშემატკივართა ანტი-დისკრიმინაციული სამუშაო ჯგუფი“ (Anti Dis AG).

ოკუპაციური (ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგი) **და ანტი-ასკეტურ-ეკონომიური მოძრაობები**, რომლებსაც ვაკვირდებოდით, იყო „ინდიგნადოს“ ესპანეთში, მათი კოლეგა საბერძნეთში „აგანაკტისმენი“, რომლებიც 2011 წელს ჩამოყალიბდა და საპარლამენტო მოძრაობებში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა კიდეც ცვლილება ესპანეთში პოდემოსის და საბერძნეთი სირიზას მეშვეობით. იგივე არ განხორციელდა დიდ ბრიტანეთსსა და დანიის ოკუპაციური მოძრაობების შემთხვევაში. ყველა ეს მოძრაობა აკრიტიკებდა ასკეტური და ეკონომიური ცხოვრების ზომებს და წარმომადგენლობითი დემოკრატიის მიმდინარე ფორმების შეზღუდვებს.

გენდერისა და უმცირესობათა უფლებების ჯგუფი აკვირდებოდა ისეთ მოძრაობებს, როგორებიცაა „აღშფოთებული ფემინისტები“ (Indignant Feminists) ბარსელონაში, „ფემინისტა“ დიდ ბრიტანეთში და ესტონური ლგბტ მოძრაობა. ჯგუფის ანგარიშში ანტი-კაპიტალისტური მოძრაობების შესახებ გამოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა თანასწორობის ფორმალური აღთქმა, პრაქტიკაში ამის განხორციელება ყოველთვის არ ხდებოდა. ეს მოძრაობები ისევე, როგორც სხვა ეთნოგრაფიული დაკვირვების შემთხვევები, აქტიურად იყენებდნენ ინტერნეტს თავის საქმიანობაში, რაც ღიაობისა და ორგანიზაციის ჰორიზონტალური ფორმების წახალისებას უწყობდა ხელს. ძლიერი ინდივიდუალური და კოლექტიური ემოციის გამოხატვა სახალხო დონეზე მოქმედი მოძრაობათა უმეტესობის საერთო მახასიათებელია და შეიძლება, დავინახოთ, როგორც რეაქცია პოლიტიკურ კულტურაზე, რომელსაც მისი შეზღუდვა სურს.

ჯგუფი, რომელიც **პოლიტიკური, შრომითი და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების** ახალგაზრდულ ფრთას აერთიანებს, მოიცავს შემდეგ შემთხვევათა კვლევას: მემარჯვენე „ნამდვილი ფინელების პარტიას“, მემარცხენე ახალგაზრდულ პარტიას „დანიის ახალგაზრდული სოციალისტური ფრონტი“, სლოვაკეთის „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“, ასევე გერმანული პროფკავშირების „IGMetall“ ახალგაზრდული ფრთა. კვლევამ აჩვენა, რომ ასეთ ორგანიზაციებში ახალგაზრდა აქტივისტები ზოგჯერ უკმაყოფილო იყვნენ უფრო მსხვილ ‘მშობელ ორგანიზაციასთან’ ურთიერთობით და მათ მიერ აღქმული ‘წესების მორჩილების’ სტილით, ასევე იმით, რომ ზოგჯერ ისინი ზღუდავდნენ მათ მცდელობას, ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი და გამოეხატათ საკუთარი იდენტობა.

პოლიტიკის შემუშავება და რეკომენდაციები

ამ ნაწილში თავმოყრილია ჩვენი კვლევის მიგნებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით - კერძოდ, მიგნებები, რომლებიც უკავშირდება 2010-2018 წლების **ევროკავშირის ახალგაზრდულ სტრატეგიას 2010-18**. ეს სტრატეგია ემყარება იმის გაცნობიერებას, რომ ევროპის მომავალი ახალგაზრდებზეა დამოკიდებული. ამასთან, ევროკავშირში მცხოვრები მრავალი ახალგაზრდის ცხოვრებისეული შესაძლებლობები შეზღუდულია. 2010-2018 წლების ევროკავშირის ახალგაზრდულ სტრატეგიას ორი ზოგადი მიზანი აქვს:

- **ინვესტირება ახალგაზრდებში,** განსაკუთრებით - თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ახალგაზრდებისთვის განათლების სფეროში და დასაქმების ბაზარზე;
- **ახალგაზრდების გაძლიერება** მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის წახალისების მეშვეობით.

ახალგაზრდებში ინვესტირება ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი განათლების დონის ამაღლებას და უფრო მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების შეძენას, დასაქმების შანსების და სამეწარმეო შესაძლებლობების გაზრდას, რათა მოხდეს „ადამიანური კაპიტალის“ განვითარება; ამასთან, აუცილებელია ყურადღების გამახვილება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის შემდგომი ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებით შეეხო ახალგაზრდებს და ამჟამად 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის 4-დან ერთი უმუშევარია (საბერძნეთში, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, უმუშევარია ყოველი მეორე ახალგაზრდა), 2013 წლის აპრილში ევროკომისიამ მიიღო **გარანტიის პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის**, რომლის თანახმადაც ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრებიდან ან უმუშევრად დარჩენიდან 4 თვის ვადაში ყველა ახალგზარდამ უნდა მიიღოს დასაქმების, განათლების გაგრძელების, პროფესიული პრაქტიკის ან ტრეინინგის წინადადება.

ახალგაზრდების გაძლიერების თვალსაზრისით, სტრატეგია აღიარებს, რომ ახალგაზრდები კვლავ დაშორებულები არიან სოციალურ ინსტიტუტებს, და მოუწოდებს პოლიტიკოსებს და პოლიტიკის შემმუშავებლებს, ყურადღება გაამახვილოს ამ პრობლემაზე შემდეგი საშუალებებით:

- დიალოგი ახალგაზრდებთან და მათი ჩართულობის მხარდაჭერა ეროვნული და ევროკავშირის საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების და ეროვნული და ადგილობრივი ახალგაზრდული საბჭოების მხარდაჭერა;
- იმ ჯგუფების ჩართულობის განსაკუთრებული მხარდაჭერა, რომელთა წარმომადგენლობაც განსაკუთრებით დაბალია;
- ინიციატივის „ისწავლე, თუ როგორ გახდე მონაწილე“ მხარდაჭერა ადრეული ასაკიდან;
- დემოკრატიული ჩართულობის ონლაინ საშუალებების განვითარება, რათა მოხდეს კავშირის დამყარება ახალგაზრდების ნაკლებად ორგანიზებულ წარმომადგენლებთან.

ამ დოკუმენტში გვინდა განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი **მონაცემებზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავების** მნიშვნელობას. MYPLACE-ის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები გამოსადეგი იქნება ევროკავშირისთვის და მისი პარტნიორი ქვეყნებისთვის, რათ განახორციელონ თავიანთი პოლიტიკა.

- ჩვენი მონაცემები ხშირად მხარს უჭერს ევროკავშირის სტრატეგიებს, თუმცა, ამავე დროს სვამს კითხვებს, თუ რამდენად ეფექტურად ხდება ამ სტრატეგიების განხორციელება;
- ჩვენი მონაცემების თანახმად, ახალგაზრდები გამოთქვამენ მნიშვნელოვან უკმაყოფილებას როგორც ახალგაზრდებში ინვესტირების, ასევე მათი ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით.

მონაცემებიდან, რომელიც ახალგაზრდების მონაწილეობას ეხება, როგორც დადებითი ისე უარყოფითი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ. მიუხედავად იმისა, რომ შედეგები არ მიუთითებს პოლიტიკური ინსტიტუტების და დემოკრატიის მიმართ 'დაკარგულ ნდობაზე',

- ბევრად მეტი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ახალგაზრდებს მიეწოდოთ მეტი ინფორმაცია პოლიტიკის შესახებ, რაც გაზრდის მათ აქტივობას და უკეთ ჩართავს პოლიტიკაში
- მეტი დრო უნდა დაეთმოს იმის განსაზღვრას, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პოლიტიკური აქტივობის ხელშეწყობა
- სასურველია ხმის მიცემის ასაკის დაბლა დაწევა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების არჩევნებში ჩართვას და ზოგადად - აქტივობას.

ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ პოლიტიკური სისტემა ზოგადად მიმართულია უფრო ასაკოვან ხალხზე ვიდრე ახალგაზრდებზე. ასევე ფიქრობენ, რომ პოლიტიკა ფიქრობს უფრო მდიდარ ხალხზე, რაც ხელს უშლის მათ აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკურ მოვლენენში და უკარგავს არჩევნებში მონაწილეობის სურვილს. პოლიტიკოსების პასუხისმგებლობაა, დაანგიონ ეს წარმოდგენები და შექმნან ისეთი გარემო, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ იმის შეგრძნება, რომ პოლიტიკის შეცვლა მათაც შეუძლიათ და ღირს მონაწილეობის მიღება. პოლიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ:

- კვლევის დროს, ახალგაზრდებმა განაცხადეს, რომ არ აინტერესებთ პოლიტიკა, რადგან მას ახორციელებენ ასაკში შესული, ოფიციალურად ჩაცმული, 'მოსაწყენი ადამიანები';
- პოლიტიკოსების მიერ საპროტესტო აქციების აკრძალვამ ან შეზღუდვამ წესრიგის დასაცავად, შეიძლება საძირკველი გამოაცალოს დემოკრატიის მიმართ ნდობას.
- ახალგაზრდების არააქტიურობა არ უნდა აღვიქვათ, როგორც პრობლემა, არამედ როგორც მათი სურვილი უფრო მნიშვნელოვანი და აზრიანი გახდეს დემოკრატია, რაც კარგია დემოკრატიის განვითარებისათვის.

კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ მუზეუმებმა და ისტორიულმა ადგილებმა უნდა წარმოადგინონ წარსული ემოციური და საინტერესო გზით და არ უნდა დამალონ ერის მტკივნეული და რთული წარსული. ჩვენი შემოთავაზება იქნება, რომ გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რაც წაახალისებდა მუზეუმებს წარმოადგინონ წარსულის უფრო ობიექტური სურათი და აღარ მოხდეს ისტორიული მოვლენების მხოლოდ ცალმხრივი წარმოდგენა.

ასევე, ახალგაზრდების პასიურობის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ პოლიტიკოსები ვერ წყვეტენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც მთელ საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდებს აწუხებთ. ასეთებია:

- სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც იზრდება და უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს
- გადაუჭრელი საკითხები და მწვავე პრობლემები კაცობრიობისთვის, მაგ. კლიმატის ცვლილება

- ახალგაზრდების დასაქმების საკითხი და მათი გამორიხცვა შრომის ბაზრიდან, რაც მათ მომავალში ხელს უშლის გააკეთონ კარიერა და წინ წავიდნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ასევე, ზოგადად, ევროკავშირში ნეოლიბერალიზმი დომინირებს, ბევრ ახალგაზრდას სულ უფრო და უფრო უძლიერდება შეგრძნება, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი თავის ანაბარა არიან „დეპრესიულ აწმყოში", და სულ უფრო და უფრო მცირდება მომავლის იმედი. იმისათვის, რათა შენარჩუნებული იქნეს ახალგაზრდების რწმენა დემოკრატიის მიმართ, კანონმდებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ეკონომიკურ კრიზისთან და გაჭირვებასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით - სამხრეთ ევროპის ქვეყნებში.

ჩვენი კვლევის მიგნებები მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით და ეხება **ახალგაზრდებში მეტ ინვესტირებას** ევროკავშირის ახალგაზრდულ სტრატეგიის 2010-18 ფარგლებში. ეს სტრატეგია ამჯერად წინ აყენებს ნეოლიბერალურ სტრატეგიას და ნაკლებად ეხება ახალგაზრდების კოლექტიურ/საერთო სოციალურ უფლებებს. **ახალგაზრდული გარანტია** არის მცდელობა, რომ ახალგაზრდების საჭიროებები და მოთხოვნილებები იყოს პოლიტიკის შემუშავების დროს მთავარი ფოკუსი. თუმცა, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ არასაკმარისი რესურსი არის გამოყოფილი ამის განსახორციელებლად. ჩვენი კვლევა ხელს უწყობს/ემხრობა ბევრ ახალგაზრდულ ორგანიზაციას და ასოციაციას, რათა ახალგზრდებს მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია და მივცეთ შესაძლებლობა ქონდეთ კავშირი პოლიტიკოსებთან და ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში.

MYPLACE-ის კვლევის ბევრი რესპონდენტი თვლის, რომ სკოლები არ აძლევს მათ შესაბამის ცოდნას, მაგალითად:

> *[სკოლებში] მეტი დრო უნდა ეთმობოდეს სოციალურ მეცნიერებებს, და ისტორიასაც, ალბათ.*
>
> *ჩვენ განათლება გვჭირდება. ჩვენი იარაღი განათლებაა, სხვა არაფერი.*

ამასთან, ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი ჩართულობის შესაძლებლობები, რასაც მათ სკოლების ახალგაზრდული საბჭოები ან სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები სთავაზობდა. ამიტომ მეტი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალგაზრდება მიიღონ ცოდნა, მათ შორის - პოლიტიკური პროცესების ბუნების შესახებ, და ჩართულობის უნარ-ჩვევები არაფორმალური სასწავლო პროცესების მეშვეობით. ასეთ შემთხვევვაში მათი ჩართულობა უფრო ეფექტური იქნება. ახალგაზრდების ჩართულობის დონის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილი იქნება საარჩევნო ასაკის შემცირება.

ამრიგად, თუმცა ჩვენი მონაცემები მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ევროკავშირი მეტად უნდა იყოს ფოკუსირებული ახალგაზრდულ საკითხებზე, ისინი ასევე იწვევს კითხვებს, თუ რამდენად შესაძლებელია ამის გაკეთება არსებული სტრატეგიებისა და მათი განხორციელების „რბილი" ფორმების მეშვეობით, კერძოდ - ე.წ. კოორდინაცის ღია მეთოდის (Open Method of Coordination) ფარგლებში. ცხადია, რომ ახალგაზრდებს *აქვთ* პრობლემები, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავად *არიან* პრობლემა. ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგიის თანახმად, „ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს რესურსს, და არა მძიმე პასუხისმგებლობას". შესაბამისად, ჩვენს მიერ შეგროვებული მონაცემები ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ პოლიტიკოსები მეტად ცდილობდნენ ახალგაზრდებთან კავშირის დამყარებას და რეაგირება მოახდინონ იმ მოთხოვნებზე, რაც MYPLACE-ს კვლევის მონაწილეებმა გაგვიზიარეს. ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკოსებმა უკეთეს შედეგებს მიაღწიონ როგორც დემოკრატიული ჩართულობის

პროცედურულ საკითხებთან, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა სოციალური სამართლიანობა, უფლებები, სიღარიბე და თანასწორობა - როგორც ზოგადად, ასევე ახალგაზრდებთან მიმართებაში.

სიღრმისეულმა და, განსაკუთრებით, ეთნოგრაფიულმა კვლევამ მდიდარი ინფორმაცია მოგვცა იმის შესახებ, თუ როგორია ახალგაზრდების წარმოდგენები უკეთესი საზოგადოების შესახებ, მაშინაც კი, როდესაც ისინი არ შეხებიან პოლიტიკური იდეოლოგიის საკითხებს და არ მოუწოდებიათ რადიკალაური ცვლილებებისაკენ. მათი ეს მოსაზრებები, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ არის „რეპრეზენტატული", ჩვენი აზრით, საუკეთესო დასკვნა იქნება ამ დოკუმენტისთვის, და იმედი გვაქვს, პოლიტიკოსები ყურადღებით გაეცნობიან მათ:

> *საზოგადოება, სადაც ყველას შეუძლია თავის შენახვა, და სადაც არ იქნება ის, რაც ახლა გვაქვს*
>
> *უმუშევრობის სრული აღმოფხვრა, რომ ყველას ჰქონდეს სამსახური და ნაკლები სამუშაო საათები.*
>
> *საზოგადოება, სადაც ხალხს მეტი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, და პოლიტიკოსები, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ხალხთან, და არა ერთმანეთთან, და მხოლოდ თავს აჩვენებენ, რომ აქვთ რაიმე ურთიერთობა ხალხთან.*
>
> *სახელმწიფომ არ უნდა წაართვას ახალგაზრდებს მათი ოცნებები. ახალგაზრდებს უნდა მივეხმაროთ რომ ქნან უფრო მეტი და განახორციელოთ თავიანთი ოცნებების ნახევარი მაინც*
>
> *If everyone was a bit more considerate and everybody cared for each other a bit more, and was more tolerant, that would be important*
> *მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანი მეტად ზრუნავდეს სხვებზე, უფრო ტოლერატულ იყოს.*
>
> *უკეთესი საზოგადოება? ეს ისეთი საზოგადოება იქნება, სადაც ხალხს არა აქვს მოთხოვნილება, რომ განსაჯონ ერთმანეთი, ნაკლებად მიკერძოებულია, ნაკლებად რასისტული, იმიტომ რომ ჯერ კიდევ არის რასიზმი ჩვენს ირგვლივ*
>
> *სადაც ადამიანები ენდობიან ერთმანეთს და სადაც პატიოსნებაა, იქნება ეს ბიზნესში, პირად ურთიერთობებში, ასეთ რამეებში.*
>
> *ჩემთვის - რომ არ იყოს ჩხუბი, ეს კი არ არის რეალისტური, მარამ ჩხუბი არ იქნებოდა.*
>
> *ცხოვრებას უნდა განსაზღვრავდეს არა რაღაც მატერიული ნივთები, არამედ ადამიანური ღირებულებები. [...] ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ მართლაც, ნაკლებ რომ ვიყოთ დამოკიდებულები ეკონომოკაზე და ბაზარზე, ყველაფერი უკეთ იქნებოდა.*

ეს დოკუმენტი ემყარება კვლევის ანგარიშებს, რომელთა სრული ვერსიებიც შეგიძლიათ იხილოთ აქ: http://www.fp7-myplace.eu/deliverables.php

MYPLACE: მასხოვრობა, ახალგაზრდობა, პოლიტიკური მემკვიდრეობა და სამოქალაქო ჩართულობა

- ევროკავშრიის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტი. პროექტის ბიუჯეტია 7.9 მილიონი ევრო.
- პროექტი შეისწავლის, თუ რამდენად და როგორ განაპირობებს ტოტალიტარიზმის და პოპულიზმის „აჩრდილები“ ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობას ევროპის ქვეყნებში.

MYPLACE-ის ფარგლებში ჩატარებული მასობრივი გამოკითხვის, სიღრმისეული ინტერვიუების და ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მივიღეთ ახალი მონაცემები, რომლებიც ასახავს ევროპის მრავალ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და არა მხოლოდ **ზომავს** ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის დონეს, არამედ აგრეთვე ადგენს **მნიშვნელობებს**, რასაც ახალგაზრდები თავად უკავშირებენ თავის ჩართულობას. კერძოდ, ჩვენი მონაცემები მოიცავს:

- ფოკუს-ჯგუფებს და დაახლოებით 120 თაობათაშორის ინტერვიუს ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბების და თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმების შესწავლის მიზნით (MYPLACE WP2);
- 14 ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვას, რომლის ფარგლებშიც გამოკითხული იქნა 17000-მდე რესპონდენტი, ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის გაზომვის მიზნით (MYPLACE WP4);
- 900 სიღრმისეულ ინტერვიუს მათი ჩართულობის უკეთ გაგების მიზნით (MYPLACE WP5);
- ეთნოგრაფიულ დაკვირვებას 44 ახალგაზრდულ ჯგუფზე ახალგაზრდების აქტივობის ინტერპრეტაციის მიზნით (MYPLACE WP7).

MYPLACE-ის მონაცემები უაღრესად მდიდარი და მრავლის მომცველია. კერძოდ, ეს მონაცემები ეხება ახალგაზრდების დამოკიდებულებას მემარჯვენე და პოპულისტური იდეოლოგიებისადმი და, ამავე დროს, შეიცავს ინფორმაციას სოციალური კლასის, ქსენოფობიის, რასიზმის, განათლების შესახებ, ისევე როგორც დემოკრატიული პროცესებისადმი ნდობის და სოციალური და პოლიტიკური გარიყულობის შესახებ. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებთ ჩვენი მონაცემებით დაიტნერესებულ პოლიტიკოსებთან მონაცემების ანალიზის პროცესში. გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: admin@fp7-myplace.eu



ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება

MYPLACE (მასხოვრობა, ახალგაზრდობა, პოლიტიკური მემკვიდრეობა და სამოქალაქო ჩართულობა)

პროექტის კოორდინატორი

პროფ. ჰილარი პილკინგტონი,
მანჩესტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
ელ. ფოსტა: hilary.pilkington@manchester.ac.uk

კონსორციუმი

CRRC-საქართველო
თბილისი, საქართველო

Centro Investigacao e Estudos de Sociologia
ლისაბონი, პორტუგალია

Daugavpils Universitate
დაუგავპილსი, ლატვია

Debreceni Egyetem

დებრეცენი, უნგრეთი

Friedrich-Schiller Universitaet Jena
იენა, გერმანია

Institut Drustvenih Znanost Ivo Pilar
ზაგრები, ხორვატია

Manchester Metropolitan University
მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი

Panteion University of Social and Political Sciences
ათენი, საბერძნეთი

State Institution of Ulyanovsk Research and Development Centre "Region"
ულიანოვსკი, რუსეთი

Syddansk Universitet
სონდერბორგი, დანია

Tallinn University
ტალინი, ესტონეთი

The University of Manchester
მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი

The University of Warwick
ქოვენთრი, დიდი ბრიტანეთი

Universitaet Bremen
ბრემენი, გერმანია

Universitat Pompeu Fabra
ბარსელონა, ესპანეთი

University of Eastern Finland
კუოპიო, ფინეთი

Univerzita sv Cyrila a Metoda v Trnavae
ტრნავა, სლოვაკეთი

დაფინანსების სქემა

ევროკავშირის პროექტი მეშვიდე ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში - კვლევითი აქტივობა SSH-2010-5.1-1: „დემოკრატია და ტ ოტალიტარიზმის და პოპულიზმის აჩრდილები: ევროპული გამოცდილება“

ხანგრძლივობა

ივნისი 2011 – მაისი 2015 (48 თვე)

ბიუჯეტი	ევროკავშირის კონტრიბუცია: 7 994 463 €
ვებგვერდი	http://www.fp7-myplace.eu
საკონტაქტო პირი	მარტინ პრაისი, პროექტის მენეჯერი (admin@fp7-myplace.eu)
დამატებითი ლიტერატურა	პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული ყველა ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ აქ: http://www.fp7-myplace.eu/deliverables.php